

შპს ინფრა კონსტრაქშენ

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულიწლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-27

შპს ინფრა კონსტრაქშენ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,308,589	2,519,112
საინვესტიციო ქონება	5	50,000	50,000
არამატერიალური აქტივი	6	8,475	16,012
		4,367,064	2,585,125
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	90,573	822,311
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	1,112,652	421,871
მარაგები	9	140,901	4,757
გადახდილი ავანსები	10	354,190	217,709
სხვა მიმდინარე აქტივები	11	136,920	11,768
		1,835,236	1,478,417
მთლიანი აქტივები		6,202,300	4,063,542
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,293,046	2,910,903
		4,293,046	2,910,903
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	12	284,043	293,512
		284,043	293,512
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	13	30,907	200
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	603,959	356,953
საგადასახადო ვალდებულებები	15	0	24,900
მიღებული ავანსები	16	508,475	0
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე მიმდინარე ნაწილი	12	481,871	477,074
		1,625,211	859,127
მთლიანი ვალდებულებები		1,909,255	1,152,639
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,202,300	4,063,542

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,308,589	2,519,112
საინვესტიციო ქონება	5	50,000	50,000
არამატერიალური აქტივი	6	8,475	16,012
		4,367,064	2,585,125
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	90,573	822,311
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	1,112,652	421,871
მარაგები	9	140,901	4,757
გადახდილი აგანსები	10	354,190	217,709
სხვა მიმდინარე აქტივები	11	136,920	11,768
		1,835,236	1,478,417
მთლიანი აქტივები		6,202,300	4,063,542
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,293,046	2,910,903
		4,293,046	2,910,903
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	12	284,043	293,512
		284,043	293,512
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებული პირთა გასამრჯელო	13	30,907	200
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	603,959	356,953
საგადასახადო ვალდებულებები	15	0	24,900
მიღებული აგანსები	16	508,475	0
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე მიმდინარე ნაწილი	12	481,871	477,074
		1,625,211	859,127
მთლიანი ვალდებულებები		1,909,255	1,152,639
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,202,300	4,063,542

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



შპს ინფრა კონსტრუქშენ
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	17	10,011,959	5,211,299
თვითღირებულება		(5,353,921)	(3,044,450)
საერთო მოგება		4,658,039	2,166,849
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(173,641)	(233,308)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდ	18	(44,317)	27,575
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	19	(25,233)	1,476
სხვა ხარჯები	20	(160)	(2,929)
საოპერაციო მოგება		4,414,687	1,959,662
ფინანსური შემოსავალი		7,440	-
ფინანსური ხარჯი	21	(167,188)	(207,114)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(159,748)	(207,114)
მოგება დაბეგვრამდე	22	4,254,939	1,752,548
მოგების გადასახადი	23	(327,109)	(54,884)
პერიოდის მოგება		3,927,830	1,697,664
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3,927,830	1,697,664

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	17	10,011,959	5,211,299
თვითღირებულება		(5,353,921)	(3,044,450)
საერთო მოგება		4,658,039	2,166,849
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(173,641)	(233,308)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდ	18	(44,317)	27,575
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	19	(25,233)	1,476
სხვა ხარჯები	20	(160)	(2,929)
საოპერაციო მოგება		4,414,687	1,959,662
ფინანსური შემოსავალი		7,440	-
ფინანსური ხარჯი	21	(167,188)	(207,114)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(159,748)	(207,114)
მოგება დაბეგვრამდე	22	4,254,939	1,752,548
მოგების გადასახადი	23	(327,109)	(54,884)
პერიოდის მოგება		3,927,830	1,697,664
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3,927,830	1,697,664

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



შპს ინფრა კონსტრაქშენ
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,910,903	2,910,903
მოგება წლის ბოლოს			3,927,830	3,927,830
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	3,927,830	3,927,830
გაცემული დივიდენდი			(2,545,688)	(2,545,688)
გასული წლის კორექტირება			-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,293,046	4,293,046

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრაქშენ
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,910,903	2,910,903
მოგება წლის ბოლოს			3,927,830	3,927,830
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	3,927,830	3,927,830
გაცემული დივიდენდი			(2,545,688)	(2,545,688)
გასული წლის კორექტირება			-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,293,046	4,293,046

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



1. ზოგადი ინფორმაცია

ინფრა კონსტრაქშენი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, თ. ონიაშვილის ქ., N5. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა. საქმიანობის ადგილი არ არის მუდმივი და განისაზღვრება დამკვეთებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2019 წელს განხორციელებული პროექტების ფაქტიური ადგილი იყო: ქ.თბილისისა და სვანეთის რეგიონები. მიმდინარე პროექტები ხორციელდება ქ.თბილისში.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2011 წლის 2 ივნისი

კომპანიის დირექტორი: აკაკი ჯიქია

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 02/06/2011 – 11/04/2019 პერიოდში:

აკაკი ჯიქია - 100%;

- 12/04/2019 - 16/06/2020 პერიოდში:

აკაკი ჯიქია - 50%

ზურაბ ჯიქია - 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს.

შპს ინფრა კონსტრაქშენ
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის. დივიდენდის გამოცხადების თარიღში ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

მობილური კონსტრუქციები	8 წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	6 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სპეც ტექნიკა	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზია ვადიანია და შესაბამისად მისი ამორტიზება ხდება ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული ვადის მიხედვით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
კურსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება მომდევნო თვის ოცდახუთ რიცხვამდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს ინფრა კონსტრუქშენ

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

შპს ინფრა კონსტრუქშენის მიერ 2018-2019 წელს შესრულებული პროექტები:

შპს ანაგი 2018 წლის 15 მაისის ხელშეკრულება ქ.ქუთაისში დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული გრუნტის ექსკავაცია, დატვირთვა თვიმცლელზე და ტრანსპორტირება ნაყარში დამუშავებით, ასევე მდინარის ბალასტის ტრანსპორტირება, ბალიშის მოწყობა ქვაბულშისატკეპნი მექანიზმით. სამუშაოს შესრულების ვადა: 16 მაისი 2018 წელიდან 15 სამუშაო დღე.

შპს სტატოტელი 2018 წლის 30 მაისის ხელშეკრულება მახინჯაურში სამშენებლო მოედნის და ქვაბულის ექსკავაციის სამუშაოები. ხელშეკრულების მოქმედების ვადა-ძალაში შესვლიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ. N14-18, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტში გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ხიდების, საინჟინრო ნაგებობების აღრგენითი და ნაპირსამაგრე სამუშაოები. სამუშაოს შესრულების ვადა: 20 ნოემბერი 2018- 20 დეკემბერი 2018 წლის ჩათვლით.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ. N7-18, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის რეაბილიტაცია (ქვყარილის მოწყობის სამუშაოები) III უბანი, სამუშაოს შესრულების ვადა: 10 სექტემბერი 2018- 30 ნოემბერი 2018 წლის ჩათვლით.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ. N6-18, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტში ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მონაკვეთზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო დროებითი ღონისწივების სამუშაოები, სამუშაოს შესრულების ვადა: 6 ივლისი 2018- 31 ივლისი 2018 წლის ჩათვლით.

შპს ინფრა კონსტრუქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

შპს ანაგი 2018 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულება მიწის სამუშაოების შესახებ, თბილისი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ.N5-19, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტში ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ნენსკრას კალაპოტზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო დროებითი ღონისძიებების სამუშაოები, სამუშაოს შესრულების ვადა: 11 ივნისი 2019- 30 სექტემბერი 2019 წლის ჩათვლით.

მიმდინარე პროექტები:

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“-თან 2019 წლის 5 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება ქ.თბილისში, მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში კლდოვანი და რბილი გრუნტების ექსკავაციის, გატანის, სეპარაციის, ყრილის მოწყობის, ინერტული მასალის ტრანსპორტირებისა და რ/ზ მიწების მონტაჟის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები სრულდება შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“-სა და ქ.თბილისის მერიას შორის 2019 წლის 10 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება: 01.01.01/30/274)

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ამასთან საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია თუ რა გავლენას იქონიებს COVID-19- ის პანდემია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა, ასევე მსოფლიოში არსებული გაუერესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემდგომი დინამიკის შეფასება და პროგნოზი. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის დამკვეთები ძირითადად ახორციელებენ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ამ ეტაპზე არსებობს მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პროექტების მიმდინარეობა არ უნდა შეფერხდეს მსოფლიო პანდემიის პირობებში.

4. ძირითადი საშუალებები

	მობილური კონსტრუქციები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და სპეც ტექნიკა	სულ
31 დეკემბერი 2018	33,289	6,215	69,649	3,240,408	3,349,561
შემოსვლა		90,374	32,134	2,915,050	3,037,557
გადაფასება					-
გასვლა	(1,765)	(452)	(8,090)	(986,421)	(996,728)
31 დეკემბერი 2019	31,524	96,137	93,693	5,169,036	5,390,391
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2018	(10,083)	(3,523)	(18,937)	(797,905)	(830,448)
პერიოდის ცვეთა	(5,494)	(17,306)	(16,368)	(432,715)	(471,882)
გაუფასურება	-	-	-	-	-
გასვლა	533	282	5,099	214,614	220,528
31 დეკემბერი 2019	(15,044)	(20,547)	(30,206)	(1,016,005)	(1,081,802)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	23,206	2,693	50,711	2,442,503	2,519,113
31 დეკემბერი 2019	16,481	75,590	63,487	4,153,031	4,308,589

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი
- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებების ნაწილი საბალანსო ღირებულებით 1,912,497 ლარი (2018 წელს 1,411,782 ლარი) წარმოადგენს თიბისი ლიზინგისთან გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

შპს ინფრა კონსტრაქშენ
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

5. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 3 ჰექტარი ფართობის სახნავი მიწა. საინვესტიციო ქონება წარდგენილია რეალური ღირებულებით.

6. არამატერიალური ქონება

	ლიცენზია	ბუღალტრულ ი პროგრამა	სულ
31 დეკემბერი 2018	36,445	2,478	38,923
შემოსვლა			-
გადაფასება			-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	36,445	2,478	38,923
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2018	(24,297)	(558)	(24,854)
პერიოდის ცვეთა	(5,346)	(248)	(5,594)
გაუფასურება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(29,643)	(805)	(30,448)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	12,148	1,920	14,069
31 დეკემბერი 2019	6,802	1,673	8,475

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2019	2018
90,573	822,311
90,573	822,311

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (წმინდა)

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსაურებიდან

მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ

2019	2018
1,109,232	417,746
3,420	4,125
1,112,652	421,871

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი შეადგენს 167,482 ლარს .

9. მარაგები

სათადარიგო ნაწილები და სპეც აღწურვილობა

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2019	2018
139,984	0
917	4,757
140,901	4,757

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა. მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

10. გადახდილი ავანსები

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

2019	2018
354,190	217,709
354,190	217,709

11. სხვა მიმდინარე აქტივები

	2019	2018
ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელი	10,936	11,768
საგადასახადო აქტივი	125,384	0
წინასწარ ანაზღაურებული იჯარა	600	0
	136,920	11,768

12. ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე გრძელვადიანი

	2019	2018
ფინანსური იჯარის ვალდებულება	284,043	293,512
	284,043	293,512

მოკლევადიანი

ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	481,871	477,074
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	765,914	770,586

13. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

გადასახდელი ხელფასები

2019	2018
30,907	200
30,907	200

14. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოკლევადიანი
ვალდებულებები

2019	2018
603,959	356,953
603,959	356,953

15. საგადასახადო ვალდებულება

საშემოსავლო გადასახადი

ქონების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი

2019	2018
0	50
0	12,780
0	12,070
0	24,900

16. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები

2019	2018
508,475	-
508,475	-

17. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

მომსახურებიდან მიღებული ამონაგები

2019	2018
471,240	57,203
9,540,719	5,154,096
10,011,959	5,211,299

18. ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული

შემოსულობა/ზარალი - წმინდა

ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული

შემოსულობა

2019	2018
(44,317)	27,575
(44,317)	27,575

19. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

2019	2018
1,478,920	243,366
(1,504,153)	(241,890)
(25,233)	1,476

20. სხვა ხარჯები

არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი

ჯარიმები

2019	2018
0	(1,412)
(160)	(1,517)
(160)	(2,929)

21. ფინანსური დანახარჯები (წმინდა)

ფინანსური იჯარის პროცენტი

პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი

	2018
(167,188)	(207,114)
7,440	0
(159,748)	(207,114)

22. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე
მოგების განსაზღვრისას:

საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან
დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული
შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

სხვა ხარჯი

ფინანსური ხარჯი

2019	2018
(5,353,921)	(3,044,450)
(173,641)	(233,308)
(44,317)	-
(25,233)	-
(160)	(2,929)
(159,748)	(207,114)
(5,757,020)	(3,487,801)

23. მოგების გადასახადი

გაცემულ დივიდენდზე გადახდილი მოგების გადასახადი

2019	2018
(327,109)	(54,884)
(327,109)	(54,884)

სსკ-ის 309-ე მუხლის 92-ე ნაწილის თანახმად კომპანიამ 2019 წლის იანვარი-აპრილის თვეებში ჩაითვა 2011 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დაგროვილ მოგებაზე დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი. 2019 წლის მაისის თვიდან კი ვალდებულება გაუჩნდა გაცემულ დივიდენდზე სრულად გადაეხადა მოგების გადასახადი.

24. ფინანსური იჯარის ვალდებულება

კომპანიას სამწლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს სატრანსპორტო საშუალებები. მომავალში გადასახდელი მინიმალური საიჯარო გადასახდელები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2019	2018
549,121	602,355
316,282	382,721
-	-
865,403	958,076

შპს ინფრა კონსტრაქშენ

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

25. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2019	2018
85,204	231,599
85,204	231,599

26. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ პუნქტებში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის პროცესები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება მათ გასაზომად. შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრისთვის და მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ შექმნას და აამუშავოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას კომპანიის ფინანსურ მართვაში.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანი არის ისეთი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც შეამცირებს რისკებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დეტალები ამ პოლიტიკასთან მიმართებაში დადგენილია ქვემოთ. კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს.

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთების რისკი;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლიდანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია:
ფინანსური აქტივები:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები - 90,573 ლარი

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (წმინდა) – 1,112,652 ლარი

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი სახსრების მართვით. ეს არის რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დადგება მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მუშაობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ნაღდი ფულის ქონას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის.

საჭიროების შემთხვევაში კომპანიის დამატებითი დაფინანსების წყარო არის სააქციო კაპიტალი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

• საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს და არც განიხილავს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებით სარგებლობას.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

26. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც COVID-19-ის პანდემია. კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან უარყოფითი ეკონომიკურ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, ბევრ სფეროში შემცირდა წარმოება, მოხმარება, ვაჭრობა, სამუშაო ადგილები. გაუარსდა ადამიანების კეთილდღეობა, დაწესდა შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვაზე და ა.შ

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:

აკაკი ჯიქია

26. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც COVID-19-ის პანდემია. კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან უარყოფითი ეკონომიკურ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, ზევრ სფეროში შემცირდა წარმოება, მოხმარება, ვაჭრობა, სამუშაო ადგილები. გაუარესდა ადამიანების კეთილდღეობა, დაჩესდა შეზღუდულები თავისუფალ გადაადგილებაზე, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვაზე და ა.შ.

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:

აკაკი ჯიქია

